პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი
№ 219 (12731) | ოთხშაბათი, 18 სექტემბერი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

საარწყავი მიწები დიდი სიმდიდრეა

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი საბჭოთა მეურნეობა „ვოლგა-დონზე"

ვოლგოგრადი, 17 სექტემბერი. (პრეს-ჯგუფი). ფართოდ გადაშლილან საბჭოთა მეურნეობა „ვოლგა-დონის" მინდვრები. მეურნეობას 16 ათას ჰექტარზე მეტი მიწა აქვს. უკანასკნელ წლებში აქ მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა სარწყავი სისტემის დარგში. 3.200-ზე მეტმა ჰექტარმა მიიღო წყალი. ამ მინდვრებში, რომლებიც ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის გასწვრივ გაჭიმულა, მოჰყავთ ბოსტნეული, სიმინდი, შაქრის ჭარხალი, კარტოფილი და სხვა კულტურები. შარშან მეურნეობამ სახელმწიფოს ჩაუბარა 108 ათასი ცენტნერი ბოსტნეული, აგრეთვე დიდი რაოდენობით საზამთრო და ნესვი. საბჭოთა მეურნეობას მოჰყავს მარცვლეული კულტურები, აქვს განვითარებული მეცხოველეობა.

აქ შრომობს ბევრი გამოცდილი მებოსტნე, მესიმინდე, მებაღჩე, მხვნელ-მთესველი. დიდია მეურნეობაში ყოველწლიურად უხვი, გარანტირებული მოსავლის მიღების საშუალებანი. მაგრამ სრულად თუ არის გამოყენებული ისინი?

გუშინ საბჭოთა მეურნეობა „ვოლგა-დონს" ეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, მას გულითადად შეხვდნენ მუშები და სპეციალისტები.

ნიკიტა სერგისძემ გამოიკითხა, თუ როგორი მოსავალი მოჰყავთ მებოსტნეებს, როგორაა ორგანიზებული მათი შრომა, როგორია შრომის ანაზღაურება. გაიმართა საქმიანი, გულწრფელი საუბარი.

საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ვ. ი. შტეპამ განაცხადა, რომ მებოსტნეებმა ჰექტარზე საშუალოდ მოკრიფეს 18 ტონა კიტრი და 16 ტონა პომიდორი. მოსავლის აღება გრძელდება.

— როგორია შრომის ანაზღაურება? — იკითხა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

— ეს დამოკიდებულია პროდუქციის მიღებაზე, — უპასუხა მებოსტნეთა ბრიგადირმა აგრონომმა ზ. ი. იაკოვლევამ.

ნ. ს. ხრუშჩოვმა სთხოვა გააცნონ: რა ხელფასს მიიღებენ რგოლის მუშაკები, თუ, მაგალითად, ჰექტარზე საშუალოდ 200 ცენტნერ ბოსტნეულს მიიღებენ, და რამდენს მისცემენ მათ იმ შემთხვევაში, როცა ჰექტარზე საშუალოდ 400 ცენტნერს მიიღებენ.

მეურნეობის სპეციალისტებმა, ბრიგადირებმა და მერგოლურებმა ნიკიტა სერგისძეს გააცნეს შრომის ანაზღაურების სისტემა.

ზეგეგმითი პროდუქციისათვის მებოსტნეები დამატებით ანაზღაურებას იღებენ. მოიყვანეს ასეთი მაგალითი. ერთ-ერთმა ტრაქტორისტმა, რომელიც მიწებს რწყავდა, მასზე გაპიროვნებულ ნაკვეთზე დავალებაზე ორჯერ მეტი ბოსტნეული მოიყვანა. მისი ხელფასი ერთისამად გადიდდა.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა გამოიკითხა, თუ რომელი ჯიშის კომბოსტო იძლევა საუკეთესო მოსავალს ადგილობრივ პირობებში, საკმარისი რაოდენობით აქვთ თუ არა კვალსათბურები მეურნეობაში. მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ კომბოსტოს მოყვანაში დღემდე სუსტად ინერგება მექანიზაცია. ჭარბობს ხელშრომა.

ნ. ს. ხრუშჩოვი ესაუბრა მერგოლურებს ტ. ი. პეტუხოვასა და მ. ა. კამნევას, დაწვრილებით, დეტალურად გამოჰკითხა მათ, თუ როგორ არის ორგანიზებული მებოსტნეთა შრომა, როგორია მათი ხელფასი, როგორია პროდუქციის თვითღირებულება.

ბოსტნეული, ___ თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — თქვენ ჯერ კიდევ ძალიან ცვირი გიჯდებათ. რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელები არ უფიქრდებიან, იმას, თუ როგორ შეუმსუბუქონ შრომა მებოსტნეებს, ფართოდ დანერგონ მანქანებით ნთესვების დამუშავება.

ნ. ს. ხრუშჩოვმა უამბო მათ მოსკოვის ოლქის მოწინავე მებოსტნეთა გამოცდილების შესახებ, რომლებსაც კომბოსტოს და სხვა ბოსტნეულის უხვი მოსავალი მოჰყავთ ხელშრომის მინიმალური გამოყენებით. საჭიროა უფრო თამამად გამოვიყენოთ მანქანები ბოსტნებში. დიდმნიშვნელოვანია არა მარტო ის, რომ ვიზრუნოთ უხვი მოსავლის მოყვანისათვის, არამედ ისიც, თუ როგორი იქნება ბოსტნეულის თვითღირებულება. ეს ძალზე დიდმნიშვნელოვანი საქმეა, ხაზგასმით აღნიშნა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

მეურნეობის სპეციალისტებმა განაცხადეს, რომ ახლა კომბოსტოს მწკრივთშორისებში მექანიზებული დამუშავება უკვე აღარ შეიძლება.

— არა, შეიძლება, თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა. — ტრაქტორს მოებმება ფოთლების ამწე. თუ კი თითო-ოროლა ფოთოლს თვალი გასრესს, ეს დიდი უბედურება არ არის.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ ჩვენი ამოცანაა ბეჯითად ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება. თოხით კი შრომის ნაყოფიერებას ვერ მივაღწევთ. რატომ ურიგდებიან მუშაობის ასეთ ჩამორჩენილ ორგანიზაციას საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები? კომენწიმი მაღალი მწარმოებლობაა. თოხით ვეღარაფერს გახდები.

მეზობლად, ბოსტანში მეურნეობის მუშაკები პომიდორს კრეფენ. ნ. ს. ხრუშჩოვმა გასინჯა პომიდორი. თქვა, გემრიელიაო, ძალიან კარგიაო. მებოსტნეები ძვირფას ხუმარს საზამთროთი და ნესვით გაუმასპინძლდნენ. ნ. ს. ხრუშჩოვმა იკითხა, თუ როგორია ნესვისა და საზამთროს მოსავალი საბჭოთა მეურნეობაში.

— ჰექტარზე საშუალოდ ვიღებთ 8-9 ტონა ნესვსა და საზამთროს. — უპასუხა მას მებოსტნეთა ბრიგადირმა ა. ვ. სიტოვმა, — ვთესავთ ჩვეულებრივი სიმინდის სათესით.

— როგორ შეგაქვთ სასუქი ნიადაგში? თესვასთან ერთად? — ჰკითხა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

თურმე, არა. აქ სასუქი ნათესებში თვითმფრინავიდან შეაქვთ. ასეთ უყაირათობას არ უნდა შევუიგდეთ. ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ ასეთი წესის გამოყენების დროს დიდი რაოდენობით იკარგება სასუქი: იგი ქარს მიაქვს, გაუშლელი რჩება მინდვრებში. ხოლო თუკი სასუქს თესლთან ერთად შევიტანთ, მაშინ იგი ცოტა დაგვჭირდება და უფრო მეტ სარგებლობასაც მოიტანს.

საუბარი ჩამოვარდა ბოსტნეულის, მაგალითად, კომბოსტოს მოსავლიანობის გადიდების ისეთი დიდი რეზერვის შესახებ, როგორიცაა ტორფ-ნეშომპალის ჭოთნების გამოყენება. ცნობილმა საბჭოთა მეცნიერმა ვ. ი. ედელშტეინმა შეიმუშავა ეს ეფექტიანი წესი. ამ წესს იყენებენ ჩვენი ქვეყნის ბევრ მეურნეობებში, იყენებენ აგრეთვე საზღვარგარეთაც. თუკი ვოლგოდონელები ჩითილს ტორფ-ნეშომპალის ჭოთნებში გამოიყვანენ, მაშინ მკვეთრად გადიდდება ბოსტნეულის მოსავლიანობა. ახლა, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — ჰექტარზე საშუალოდ 200-300 ცენტნერი ბოსტნეული მოგაყავთ, ტორფ-ნეშომპალის გამოყენებით ჰექტარზე საშუალოდ 400-600 ცენტნერს მოიყვანთ. საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა, მისმა სპეციალისტებმა ბევრი უნდა იშრომონ, რომ კიდეს უფრო სრულად გამოიყენოთ სარწყავი მიწათმოქმედების შესაძლებლობანი, გაზარდონ ბოსტნეულის მოსავლიანობა. უნდა შევნიშნო, რომ მეურნეობაში დაწესებულია მთელი რიგი კულტურების მოსავლიანობის შემცირებული გეგმა. მაგალითად, 1962 წელს დაგეგმილი იყო ჰექტარზე საშუალოდ მიგელოთ 160 ცენტნერი შაქრის ჭარხალი და 80 ცენტნერი კარტოფილი. აიღეთ კი საშუალოდ ჰექტარზე 150 ცენტნერი შაქრის ჭარხალი და 86 ცენტნერი კარტოფილი. და ეს სარწყავ მიწებზე? ცნობილია, რომ ჩვენი ქვეყნის ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ჰექტარზე საშუალოდ იღებს 300-400 ცენტნერ შაქრის ჭარხალს და 200-250 ცენტნერ კარტოფილს მოურწყავად.

საბჭოთა მეურნეობა „ვოლგა-დონში" იღებთ ჰექტარზე საშუალოდ მხოლოდ 200 ცენტნერ კომბოსტოს. ეს ძალზე ცოტაა. იმის ნაცვლად, რომ იზრუნოთ ჩითილის გამოყვანისათვის, აქ კომბოსტოს თესლს პირდაპირ ნიადაგში თესენ. წარმოება დაბალ დონეზე მიმდინარეობს. პროდუქციის თვითღირებულება მაღალია. შარშან ერთი ცენტნერი ბოსტნეული მეურნეობას 5 მანეთი და 12 კაპიკი დაუჯდა, ხოლო მოსკოვის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ბოლშევიკს" ბოსტნეული ერთიანად იაფი უჯდება. არ შეიძლება სარწყავი მიწები ისე გამოვიყენოთ, როგორც საბჭოთა მეურნეობა „ვოლგა-დონში" იყენებენ.

ნ. ს. ხრუშჩოვმა შენიშნა, რომ მიწათმოქმედებმა უნდა იზრუნონ არა მარტო დიდი რაოდენობის პროდუქციის მოყვანისათვის, არამედ აგრეთვე მისი ხარისხისათვის. მოსკოველებისაგან გამიგონია, თქვა მან, საზამთრო ტკბილი არ არისო. ბევრმა არც კი იცის, ეს მორწყვის მიზეზია. მიუშვებენ ბევრ წყალს — დიდ მოსავალს მიიღებენ, მაგრამ სიტკბო ნაკლებია. ასეთ შემთხვევებს სხვაგანაც ვხვდებით. მაგალითად, ვენახს უხვად ასხია. მოსავალიც უხვია, მაგრამ ყურძენს შაქარი აკლია, მეავეა, როგორც ჩანს, საჭიროა შემოვიღოთ რაღაც წესი, მოვაწყოთ დეგუსტაცია და ავუზღაურეთ შრომა არა მარტო მიღებული მოსავლის მიხედვით, არამედ მოსავლის ხარისხის, შაქრიანობის, გემოს და სხვათა მიხედვით.

საუბარი გაგრძელდა სიმინდის უანბში. ეს ვიქტორ ტროსტიანსკის მექანიზებული რგოლის ნაკვეთია. სამ მექანიზატორს სიმინდი მოჰყავს 120 ჰექტარზე. ყურადღება მიიპყრო მსხვილტაროიანმა მაღალმა სიმინდმა. აქ მოჰყავთ „უზბეკური თეთრკბილას" ჯიშის სიმინდი. ამ სიმინდის თესლი გამოგზავნა უხვი მოსავლის ოსტატმა ლუბა ლიმ. მოსავალს კარგი პირი უჩანს.

ნ. ს. ხრუშჩოვმა შენიშნა, რომ „დნეპრული-200" ჯიში კიდევ უფრო უხვ მოსავალს იძლევა. საბჭოთა მეურნეობის მთავარმა აგრონომმა ტ. გ. შებლანოვამ თქვა, რომ სიმინდი დათესილია კვადრატულ-ბუდობრივად, ბუდეში ერთი-ორი მარცვალია, მწკრივთაშორისები 70 სანტიმეტრია. აქა-იქ ოთხ-ოთხი მარცვალიც დავთესეთ.

— სარწყავ მიწებში ორ-ორი შეიძლება, ოთხ-ოთხი მიზანშეწონილი არ არის, — ახლო-ახლოა, ტაროს ვერ გამოიღებს, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

— სიმინდის მარცვლის როგორ მოსავალს იღებს საბჭოთა მეურნეობა? — იკითხა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

გამოირკვა, რომ სიმინდის მარცვლის მოსავალმა შარშან საბჭოთა მეურნეობის სარწყავ მიწებზე შეადგინა მხოლოდ 14 ცენტნერი ჰექტარზე. მეურნეობისა და ოლქის ხელმძღვანელები როგორ ურიგდებიან სარწყავი მიწებისადმი ასეთ უმსგავსო დამოკიდებულებას? ასეთი მოსავლის მიღება მოურწყავადაც კი სამარცხვინოა.

ლუბა ლი ჰექტარზე საშუალოდ 100 ცენტნერ მარცვალს იღებს. ვოლგისპირეთში სარწყავ მიწებზეც ასეთივე მოსავალი უნდა მოვიყვანოთ. თუ გვინდა უფრო მეტი მწვანე მასა გვქონდეს, თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, საჭიროა ერთი ჯიში სიმინდი მოვიყვანოთ, თუკი მეტი მარცვლის მიღება გვინდა, მაშინ მეორე ჯიშის სიმინდი უნდა მოვიყვანოთ. სარწყავ მიწებზე შეიძლება მყარი უხვი მოსავლის მიღება.

საბჭოთა მეურნეობის მთავარმა აგრონომმა ამხ. შებლანოვამ განაცხადა, რომ საბჭოთა მეურნეობას არა აქვს კარგი ჯიშის სიმინდი.

— ჩვენ ჩინებული ჯიშები გვაქვს, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა. — საბჭოთა სელექციონერებმა კარგად იშრომეს. როდესაც ამერიკელმა ფერმერმა გარსტმა „ოდესური-10" ნახა, ტაროს აკოცა. თუკი მეურნეობაში არა გაქვთ კარგი ჯიშის სიმინდი, ამაში უწინარეს ყოვლისა დამნაშავეა აგრონომი. აგრონომის მუშაობის ატესტატი უხვი მოსავალია.

ნ. ს. ხრუშჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა და სპეციალისტებმა ბეჯითად უნდა ისწავლონ. დაეუფლონ მეცნიერების მიღწევებსა და მოწინავე გამოცდილებას. თუ ცოდნა არა გაქვს, ახლა მეურნეობას ვერ გაუძღვები!

— სარწყავი მიწები ეს დიდი სახალხო სიმდიდრეა, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, არ უნდა დაიშუროთ შრომა, ყოველი ღონე უნდა იხმაროთ იმისათვის, რომ რაციონალურად, ეფექტიანად გამოიყენოთ თითოეული ჰექტარი სარწყავი მიწა.

ნ. ს. ხრუშჩოვი ქვემოვოლგისპირეთში

ვოლგოგრადი, 17 სექტემბერი. (პრეს-ჯგუფი). დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ეწვია ქალაქს ჩრდილოეთ გარეუბანში მშენებარე ვოლგის ქიმიურ კომბინატს. ქიმიის ამ გიგანტის შემადგენლობაში გაერთიანებულია ქიმიური ქარხნები: სინთეზური კაუჩუკის, სალტის, სალტის სარემონტო, ტექნიკური რეზინისა და ტექნიკური აზბესტის ნაწარმის, სინთეზური ბოჭკოს ქარხნები.

მშენებლები, მემონტაჟეები, კომბინატის მუშები მხურვალედ მიესალმნენ ძვირფას სტუმარს.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი გაეცნო წარმოებას, დაინტერესდა კომბინატის მშენებლობის მიმდინარეობით. განმარტებას იძლეოდნენ ქვემო ვოლგის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. დ. ბელიაევი და ვოლგოგრადჰიდრომშენის მთავარი ინჟინერი ი. ნ. აბრამოვი.

ნიკიტა სერგის-ძე ესაუბრა სახალხო მეურნეობის საბჭოსა და კომბინატის ხელმძღვანელებს, ინჟინრებს, ქიმიკოსებს ქვემო ვოლგის ეკონომიური რაიონის დიდი ქიმიის განვითარების პრობლემებზე.

ქიმიური კომბინატის დათვალიერების შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი გაემართა მამაის ყორღანზე, სადაც შენდება ვოლგის დიდი ბრძოლისადმი მიძღვნილი დიდებული არქიტექტურული ანსამბლი. სამუშაოთა ხელმძღვანელმა მოქანდაკე ე. ვ. ვუჩეტიჩმა გააშუქა ამ მშენებლობის გეგმა და მიმდინარეობა.

ქალაქის მცხოვრებლები, რომლებიც აქ შეიკრიბნენ, გულთბილად მიესალმნენ ნ. ს. ხრუშჩოვს.

ასტრახანი, 17 სექტემბერი. (პრეს-ჯგუფი). დღეს ნაშუადღევს ვოლგოგრადიდან აქ ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი.

ნ. ს. ხრუშჩოვს შეხვდნენ პარტიის ასტრახანის საოლქო კომიტეტის მდივანი ვ. ი. ანდონოვი, საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ა. ბლოხინი და სხვა ოფიციალური პირები.

აეროდრომიდან ნ. ს. ხრუშჩოვი გაემართა ქვემოვოლგისპირეთის სახალხო მეურნეობის საბჭოს ასტრახანის ცელულოზა-მუყაოს კომბინატში. საწარმოს მუშები, სპეციალისტები გულთბილად შეხვდნენ ნიკიტა სერგის-ძეს. ნ. ს. ხრუშჩოვი გაეცნო კომბინატის კოლექტივის საქმეებს, წარმოების განვითარების პერსპექტივებს. (საკდესი).

კომუნისტი

შეჯიბრების დროშით

მოდის ცემენტი, შიფერი, ბლოკი...

ქასპი. (საკ. კორ.). აგვისტოში მაღალნაყოფიერად იმუშავეს ქასპელმა მეცემენტეებმა. მათ მშენებლებს თვიური გეგმის გადამეტებით 1.500 ტონა ცემენტი მისცეს. ენერგიულად შრომობენ შიფერისა და საკედლე ბლოკების დამამზადებელი საამქროების კოლექტივებიც. აგვისტოში გეგმის გადაჭარბებით დამზადებულია 300 ათასი პირობითი ცალი შიფერი და 600 კუბური მეტრი ბლოკი.

ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე ქარხანაში ერთ-ერთი პირველი დადგნენ მბრუნავი ღუმელის მემანქანეები გ. შარიქაძე, მ. ორბელაშვილი, შ. ბუდაღაშვილი, ცემენტის წისქვილის მემანქანე ა. ღვინიაშვილი, შიფერის მანქანის მემანქანე ვ. მანძულაშვილი და სხვები, რომლებიც ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს 115-125 პროცენტით ასრულებენ.

კასპელმა მეცემენტეებმა საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის წინ ხელახლა გადასინჯეს თავიანთი შესაძლებლობანი და ახალი გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს. ისინი წლიური გეგმის გადამეტებით ქვეყანას მისცემენ 6.000 ტონა ცემენტს ნაცვლად წინათ ნაკისრი 5.000 ტონისა, 2 მილიონ პირობით ცალ შიფერს 5.200 კუბურ მეტრ ბლოკს, შრომის ნაყოფიერებას გაზრდიან 0,5 პროცენტით და წლის ბოლოს შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანენ 100 ათას მანეთს.

ამ ახალ, გადიდებულ ვალდებულებათა პირნათლად განაღდებისათვის ქარხნის მთელი კოლექტივი ენერგიულად შრომობს. სექტემბრის პირველი დეკადის საწარმოო დავალება ყველა საამქროს მნიშვნელოვანი გადამეტებით შეასრულა. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ შიფერისა და ბლოკების დამამზადებელი საამქროები.

დავალება განაღდებულია

ჰიათურა. (საკ. კორ.). საოქტომბრო და საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება მოიპოვა ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივმა (დირექტორი ვ. სამსონაძე, პარტბიუროს მდივანი ა. სხირტლაძე), რომელმაც ოცი დღით ადრე შეასრულა სასაქონლო მარგანეცის დამზადების ცხრა თვის დავალება და ოქტომბრის ანგარიშში ათასობით ტონა მარგანეცი გამოიღო.

თავდადებულად შრომობენ საწარმოო უბნების კოლექტივები, რომლებსაც ა. კენჭოშვილი, ვ. ჩხიკვაძე, ი. პეტროსოვი და ტ. ფერაძე უძღვებიან.

წარჩინებული მაღაროელები ბ. კილაძე, ს. კაპანაძე, ს. სამხარაძე, პ. მეცხოვრიშვილი, ი. გურული და სხვები ყოველდღიურ დავალებებს 130-140 პროცენტით ასრულებენ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური ბიბლიოთეკა

XXII ყრილობისათვის

გეგმის გადამეტებით

ბორჯომი. (საკ. კორ.). წლიური გეგმის გადამეტებით ჩამოვასხამთ 2 მილიონ ბოლთ „ბორჯომს", — ასეთი დევიზით ჩაება მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხნის კოლექტივი საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ქარხნის კოლექტივი ენერგიულად შრომობს აღებულ ვალდებულებათა გასანაღდებლად. რვა თვეში გეგმის გადაჭარბებით ჩამოსხმულია 855 ათასი ბოთლი „ბორჯომი". ჩამომსხმელთა იმ ბრიგადებს, რომლებსაც გ. ქელეხსაშვილი და ა. წიქარიშვილი ხელმძღვანელობენ, ყველაზე უკეთესი შრომითი მაჩვენებლები აქვთ.

„ბორჯომის" ჩამომსხმელები აღებულ მაღალ ტემპს არ ანელებენ სექტემბერშიც. გადამეტებით სრულდება ყოველდღიური საწარმოო დავალებები.

რკინიგზელთა წარმატება

სამტრედიის რკინიგზის სავაგონო დეპომ 8 თვის საწარმოო დავალება 101 პროცენტით შეასრულა და გეგმის ზევით შეკეთებიდან 21 ვაგონი გამოუშვა. ავადყოფი ვაგონების პარკში დარჩენის ნორმა შემცირებულია 22 ვაგონით, შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 5,8 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 13,7 პროცენტით, მიღებულია 34.100 მანეთის ზეგეგმითი დაგროვება.

ამ სასახელო მაჩვენებლების შესრულებისათვის ბრძოლის მოწინავე რიგებში დგანან ზეინკლები ბ. ღაღანიძე, ა. გელაზონია, მ. პაპავა, ფურგლები პ. მანჯგალაძე, გ. ნუცუბიძე, რ. მიქაძე, მღებავები ვ. რუხაძე, ა. ახობაძე, ხარატები გ. კაკაძე, ვ. ნაცვლიშვილი, გ. შენგელია და სხვები. რომლებიც ყოველდღიურ დავალებას 110-115 პროცენტით ანაღღებენ.

ი. გოგოლაძე.

მეხალიჩეთა გამარჯვება

ცხაკაია. ხალიჩის საქსოვ ფაბრიკაში შრომითი ამამავლობის დღეებია. მეხალიჩეებმა 8 თვის გეგმა 107,7 პროცენტით შეასრულეს და გეგმის ზევით სამშობლოს მისცეს 10.417 კვადრატული მეტრი ხალიჩის ნაწარმი. შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 8 პროცენტით გადიდდა. დაზოგილია ორ ტონამდე ნართი, 104 ტონა პირობითი საწვავი, 18.000 კილოვატსაათი ელექტროენერგია. წელს დაინერგა 9 რაციონალიზატორული წინადადება, რამაც დიდძალი ეკონომია მისცა ფაბრიკას.

მაღალნაყოფიერი შრომაა გაჩაღებული საქსოვ საამქროში (უფროსი ინჟენერი ბ. სახურია). ყოველდღიურ დავალებებს საამქრო დიდი გადაჭარბებით ასრულებს. გეგმებს 115-120 პროცენტით ანაღდებენ ქვეოსტატები ვ. ბერიძე, ზ. ხაინდრავა, კომუნისტური შრომის ის ბრიგადები, რომლებსაც მ. ტყეშეულავა, ო. ბეჭვაია, ზეინკლები შ. ესებუა და ბ. ლომია ხელმძღვანელობენ.

ს. კუჭავა.

მაღლობა მილოცვისათვის

დეპეშაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის სახელზე ვიეტნამის შრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარემ ჩიონგ ტენმა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ფამ ვან დონგმა ვიეტნამელი ხალხის, ვიეტნამის შრომელთა პარტიისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით გამოთქვეს გულწრფელი მადლობა გულთბილი, ძმური გრძნობებით აღსავსე მილოცვისათვის ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულის 18 წლისთავის გამო.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ დიდი საბჭოთა ხალხი მხურვალე მხარდაჭერასა და ყოველმხრივ დახმარებას უწევს ვიეტნამელ ხალხს ჩრდილოეთ ვიეტნამში სოციალიზმის აშენებისა და ვიეტნამის შშვიდობიანი გაერთიანებისათვის ბრძოლის საქმეში.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს სახელზე მიღებულია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის სუან თხიუის დეპეშა. (საკდესი).

მილოცვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

16 სექტემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ა. სუსლოვმა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ბ. ნ. პონომარიოვმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მიიღეს მალის რესპუბლიკის პარტია სუდანის კავშირის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს პარტიის პოლიტიკური მდივანი ამხ. იდრისა დიარა.

საუბარი მეგობრობისა და გულითადობის ვითარებაში მიმდინარეობდა, რომელზეც გამოვლინდა ორივე პარტიის სრული ურთიერთგაგება და მისწრაფება განაგითარონ ერთმანეთს შორის კონტაქტები და კავშირი.

საუბარს დაესწრო სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ვ. გ. კორონოვი.

მეცნიერთა ფორუმი

საქართველოს დედაქალაქი გახდა ადგილი მიმდინარე წლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო მოვლენისა მეცნიერთა ცხოვრებაში.

17 სექტემბერს თბილისში მუშაობა დაიწყო საერთაშორისო სიმპოზიუმმა უწყვეტ ტანთა მექანიკაში ფუნქციათა თეორიის გამოყენების საკითხებზე, რომელიც მოწვეულია თეორიული და გამოყენებითი მექანიკის საერთაშორისო კავშირის დადგენილებით. სიმპოზიუმის საზეიმო გახსნაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ თვალსაჩინო საბჭოთა და საზღვარგარეთელი მეცნიერები, მათემატიკისა და მექანიკის დარგის სპეციალისტები, საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებს 19 ქვეყნის 68 უცხოელი მეცნიერი და 100-ზე მეტი საბჭოთა მეცნიერი, რომელთა შორის ბევრია მათემატიკისა და მექანიკის დარგის საქმეყნოდ განთქმული სპეციალისტი.

საზეიმო სხდომა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა სიმპოზიუმის სამეცნიერო კომიტეტის თავმჯდომარემ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ნ. ი. მუსხელიშვილმა. მან აღნიშნა, რომ სიმპოზიუმის რამდენადმე სპეციალური თემატიკა არჩეულია იმიტომ, რომ ამ დარგში უკანასკნელი ხნის მანძილზე მიღწეულია მეტად არსებითი და ნაწილობრივ დამაგვირგვინებელი შედეგები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ როგორც თეორიის, ისე პრაქტიკის თვალსაზრისით. აკადემიკოსმა ნ. ი. მუსხელიშვილმა აღნიშნა, თუ რა დიდი ინტერესი გამოიჩინეს სიმპოზიუმისადმი ბევრი ქვეყნის სპეციალისტებმა.

სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ვ. ი. ჩოგოვაძეს. საქართველოს სსრ მთავრობის სახელით იგი გულმხურვალედ მიესალმა მეცნიერთა საერთაშორისო ფორუმის მონაწილეებს და უსურვა ნაყოფიერი მუშაობა მეცნიერების უმნიშვნელოვანესი დარგების შემდგომი განვითარებისათვის, რომლებზეც დამოკიდებულია ბუნების შესახებ ჩვენი ცოდნის გაფართოება და გაღრმავება და თანამედროვე და მომავალი ტექნიკის განვითარება.

ამხ. ჩოგოვაძემ გამოთქვა იმედი, რომ სიმპოზიუმის მონაწილენი — საქართველოს სტუმრები გაეცნობიან აგრეთვე რესპუბლიკისა და მისი დედაქალაქის ეკონომიკას, კულტურას, ღირსშესანიშნაობებს, კარგად გაატარებენ დროს.

ტრიბუნაზეა სიმპოზიუმის სამეცნიერო კომიტეტის გენერალური მდივანი, თვალსაჩინო მეცნიერი, ეროდინამიკის სპეციალისტი, პარიზის მეცნიერებათა აკადემიის წევრი პროფესორი მ. რუგა. თეორიული და გამოყენებითი მექანიკის საერთაშორისო კავშირის სახელით იგი მიესალმა შეკრებილთ და აღნიშნა, თუ რა განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქართველ მათემატიკოსთა და მექანიკოსთა სკოლა გამორჩენილი მეცნიერის ნ. ი. მუსხელიშვილის მეთაურობით უწყვეტ ტანთა მექანიკაში კომპლექსური ცვლადის თეორიისა და ფუნქციების გამოყენების საკითხის დამუშავებაში. პროფესორმა მ. რუგამ აღნიშნა, რომ ამ სკოლის, დამსახურების კერძოდ, დრეკადობის სიბრტყივ თეორიაში მის მიერ მიღებული ფუნდამენტალური შედეგების საყოველთაო აღიარება იმის მიზეზი იყო, რომ თეორიული და გამოყენებითი მექანიკის საერთაშორისო კავშირმა წამოაყენა წინადადება მოაწყოს თავისი მორიგი სიმპოზიუმი თბილისში და სიმპოზიუმის საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტის მუშაობის ხელმძღვანელობა დაავალა ნ. ი. მუსხელიშვილს.

აკადემიკოსი ლ. ი. სედოვი შეკრებილთ მიესალმა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და სიმპოზიუმის მონაწილე საბჭოთა მეცნიერთა სახელით. ყველასათვის გასაგებია და კარგადაა ცნობილი, თქვა მან, რომ თანამედროვე ტექნიკის, კერძოდ, ავიაციისა და კოსმოსური ფრენის ტექნიკის წარმატებანი უზრუნველყო იმ თეორიების განვითარებამ, რომლებიც ჩვენი სიმპოზიუმის საგანია. ამ სიმპოზიუმს ესწრებიან გამოჩენილი მეცნიერები, რომლებსაც ეკუთვნით ძირითადი თეორიები და უკანასკნელი წლების მიღწევები მყარ, თხევად და გაზისებრ სხეულთა მექანიკაში. ვიმედოვნებ, რომ მოხსენებანი და დისკუსია, რომლებიც მოეწყობა ამ სიმპოზიუმზე სტუმართმოყვარე საქართველოში, აზრებისა და დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული შედეგების გაზიარების კარგი მაგალითი იქნება.

თვალსაჩინო ინგლისელმა სპეციალისტმა დრეკადობის თეორიის დარგში, პროფესორმა ა. ნ. სნედდონმა ყურადღება მიაქცია ფუნქციებისა და მექანიკის თეორიათა ნაყოფიერ ურთიერთკავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებას.

რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი მ

• ჩვენი ინტერვიუ •

მეცნიერების დიდი გზებით

ლაპარაკობენ მათემატიკოსთა და მექანიკოსთა საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილენი

ი. ვეკუა,

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

— ეჭვი არ მეპარება, რომ სიმპოზიუმს, მეცნიერთა ამ დიდ ფორუმს, სადაც წარმოდგენილი არიან მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერები, განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება. დიახ, უკვე შევხვდი ამერიკელ, ინგლისელ, ფრანგ, იტალიელ, ჰოლანდიელ და სხვა ქვეყნების მეცნიერებს. და ყველა მათ აქვთ საერთო აზრი, რომ ამ თათბირს უდიდესი მნიშვნელობა ექნება ახალი პრობლემების გამოვლინებისა და მათი შემდგომი დამუშავების თვალსაზრისით. ეს პრობლემები მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ მეთოდებთან და ამოცანებთან, რომლებიც წლების მანძილზე მუშავდებოდა თბილისში აკადემიკოს ნიკოლოზ მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით.

ი. გაგუშკა,

პროფესორი, ჩეხოსლოვაკია.

ჩემი აზრით, არსად მსოფლიოში ისე არ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, სასარგებლოდ შერწყმული მათემატიკა და მექანიკა, როგორც საბჭოთა მეცნიერების ნამუშევრებში. კერძოდ, ამ მხრივ ერთ-ერთი მოწინავენი არიან ქართველი მეცნიერები, რომელთა გამოკვლევებს კარგად ვიცნობ. პირველად ჩამოვედი თბილისში, მაგრამ პირადად ვიცნობ გამოჩენილ ქართველ მეცნიერს ი. ვეკუას. მას 1955 წელს შეეხვედი მსოფლიოს მათემატიკოსთა კონგრესზე.

თბილისის საერთაშორისო სიმპოზიუმი მეტად სერიოზული ღონისძიებაა, და მეც, ახალგაზრდა მეცნიერი, სიხარულით მოვეშურებოდი ჩემს კოლეგებთან. დღეს აქ თავმოყრილი არიან გამოჩენილი მეცნიერები მათემატიკის დარგში. იმედი მაქვს ბევრს კარგს და ახალს შევისწავლით მათგან, ხოლო მეც გავუზიარებ ჩვენს ნამუშევრებს დიფერენციალურ განტოლებათა თეორიის ამოცანათა ოპტიმალური დაყენების პრობლემების დარგში.

ჩვენი მეცნიერული შეხვედრები და კონტაქტები უსათუოდ დაგვეხმარება მშვიდობისათვის ბრძოლაში.

განა ბავშვი მას ჩაიცვამს?

— გივი, ძამიკო! ფეხსაცმელს რატომ არ შეიბნევ?

— შესანევი გაუწყდა, ტყავისა იყო. გუშინ მიყიდა მამამ, ჩავიცვი და მაშინვე ასძვრა. — წყენით თქვა გიგამ და წიგნების ჩანთა ხელიდან ხელში გადაინაცვლა.

— ჩემს ახალ ფეხსაცმელსაც ასე დაემართა, შესანევი პირველ ჩაცმისთანავე ასწყდა, მაღაზიაში წავიღეთ და მაშინვე შეგვიცვალეს, — ლაპარაკში ჩაერია მესამეკლასელი თენგიზ კუბალაშვილი.

ასე საუბრობდნენ სკოლაში მიმავალი ბავშვები.

ვისი ნაწარმია, რომელი ფაბრიკის მარკით არის გამოშვებული ეს უვარგისი ფეხსაცმელი?

ვიმყოფებით თბილისის №2 უნივერმაღაზიაში. აქ არც თუ ისე იშვიათია მომხმარებლის მიერ ნაყიდი საბავშვო ფეხსაცმლის უხარისხობის გამო უკან დაბრუნების შემთხვევები. მაღაზია ყიდის, მომხმარებელი იმავე დღეს ან მეორე დღეს უკან აბრუნებს, ვაჭრობის მუშაკები უსიამოვნებას ეროდებიან და მომხმარებელს უცვლიან უკეთეს ფეხსაცმელზე. იცით თუ არა ეს თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის თავკაცებმა? იციან, მაგრამ, ხომ გაგიგონია, სხვისი ჭირი ღობეს ჩხირია. პირველი ხარისხით მონათლული ფეხსაცმელი ფაბრიკის კარს მშვიდად გააცილეს, მაღაზიაში კი თავი იჩინა დეფექტებმა. მომხმარებელი უკმაყოფილია, მაგრამ მისი პრეტენზია ძნელად აღწევს ფაბრიკამდე. უმჯობესია ფაქტებით ვილაპარაკოთ.

უნივერმაღაზი მოვიდა მოქალაქე აივაზოვი (მცხოვრები მონტინის ქ. № 5). წინა დღეს შეუძენია ბავშვის ფეხსაცმელი (არტიკული 7960), რომელსაც პირველი ჩაცმისთანავე ასწყვეტია შესანევი. ასეთივე პრეტენზიით წარსდგა მაღაზიაში კუბალაშვილი (მცხოვრები საბჭოს ქ. № 49). ასეთი შემთხვევები აქ მრავალია. მარტო წელს თბილისის № 2 უნივერმაღაზიაში № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის მიერ პირველ ხარისხად აღიარებული 322 წყვილი ბავშვის ფეხსაცმელი მეორე ხარისხში გადაიყვანეს. აქ მხედველობაში მისაღებია მომხმარებლის მიერ უკან დაბრუნებული უამრავი უხარისხო ფეხსაცმელი, რომლის დეფექტი სავაჭრო ქსელში ვერ აღმოაჩინეს, შემდეგ კი დაუბრუნდა წარმოებას.

ამ მხრივ ვალში არც № 2 ფაბრიკა დარჩენილა. აი ჩვენ წინ დევს № 3270 და 3280 არტიკულის ფეხსაცმელი. საპირე ცუდად არის გადაჭიმული, დალაქულია, ცხვირი კი უსწორმასწოროა. განა ბავშვი მას ჩაიცვამს?

ერთი რამ არის საინტერესო. მაშინ როცა წარმოებას ჰყავს პროდუქციის ხარისხის დამდგენი, რატომ ხდება, რომ მის მიერ პირველ ხარისხად შეფასებული პროდუქცია ან მთლად უხარისხოა, ანდა დაბალ ხარისხში გადაყავთ? პასუხი ერთია: ან არ ესმის მინდობილი საქმე, ანდა თანამდებობას ბოროტად იყენებს. ორივე შემთხვევაში ზარალს აყენებს წარმოებას, რომელიც უხარისხო ნაწარმზე ჯარიმის სახით იხდის საგრძნობ თანხას, რაც უარყოფითად მოქმედებს წარმოების ეკონომიკაზე.

გამონაკლისი როდია ისეთი შემთხვევები, როცა წარმოებიდან მიღებულ

წუნისმკეთებლები სამზეოზე

პირველი ხარისხის საბავშვო ტანსაცმელს ან მთლიანად უბრუნებენ წარმოებას როგორც



უხარისხოს, ან დაბალ ხარისხში გადაყავთ. თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა. ცნობილია ამ კომბინატის კოლექტივის მაღალი შრომითი მაჩვენებელი. მარტო ის ფაქტი, რომ კომბინატმა უარი თქვა სახელმწიფო დოტაციაზე და, პირიქით, სახელმწიფოს მოგებას აძლევს, მოწმობს კომბინატის რიტმულ მუშაობას. მიუხედავად ამისა, აქ ჯერ კიდევ ვხვდებით უხარისხო პროდუქციის გამოშვების ფაქტებს.

წელს თბილისგაჭრობამ, როგორც უხარისხო, კომბინატს უკან დაუბრუნა ბავშვის 44 მაისური, 40 პეტანგი, 43 ცალი ქვედა საცვალი, ხოლო პირველიდან მეორე ხარისხში გადაიყვანეს ბავშვის 95 მაისური, 90 ქვედა საცვალი. თბილისის მთავარ უნივერმაღაზიაში კომბინატს ვითომდა პირველი ხარისხის 250 საბავშვო პერანგი (არტიკული 1416) მეორე ხარისხში გადაიყვანეს. რომ აღარაფერი ვთქვათ ჯარიმაზე, რაც კომბინატმა სავაჭრო ორგანიზაციას უნდა გადაუხადოს, კომბინატს სახელს უტეხს უხარისხო პროდუქცია.

ამ მხრივ ვალში არც „საქტრიკოტაჟის“ ფაბრიკის კოლექტივი დარჩენილა. წელს ფაბრიკას სავაჭრო ორგანიზაციებმა უკან დაუბრუნეს წარმოებაში პირველი ხარისხისად მიჩნეული ბავშვის 76 ქვედა საცვალი, ხოლო ტრიკოტაჟის № 1 ფაბრიკა იძულებული იყო როგორც უხარისხო უკან მიეღო ბავშვის რვა კაბა და თანხაარი შეჭრილობის გამო, 5 კოსტიუმი და სხვა ტანსაცმელი.

თბილისის № 2 სამკერვალო ფაბრიკის მიერ დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებაზე არაერთხელ ყოფილა ლაპარაკი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ხშირია ფაბრიკის მიერ დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვების შემთხვევები. მოსწავლის ფორმა ლამაზი და ძოხდენილი, მაღალი გემოვნებით შეკერილი უნდა იყოს. ამ მოთხოვნას ფაბრიკაში ხშირად არ იცავენ. მოსწავლის ფორმის ზედა პერანგებს, რომლე

საერთაშორისო
დეკენური, ცნობიერი, პროფესიული
ცხოვრება

ამერიკელი ხალხი იწონებს...

ვაშინგტონი, 17 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი **ვ. ვაშედჩენკო** იტყობინება:

ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულებას სულ უფრო ფართოდ იწონებს და მხარს უჭერს ამერიკელი ხალხი. გასულ კვირაში გამართულმა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ, ცხადყო, რომ ყველა ამერიკელის 81 პროცენტი მხარს უჭერს მოსკოვის ხელშეკრულების უყოყმანო რატიფიკაციას, 11 პროცენტი მხარს უჭერს მას, შენიშვნების დართვით, და მხოლოდ 8 პროცენტი მისი წინააღმდეგია.

დამახასიათებელია, რომ ივლისთან შედარებით, როცა დაიწყო მოლაპარაკება ამ ხელშეკრულების დადების შესახებ, ხელშეკრულების უყოყმანო რატიფიკაციის მომხრეები 29 პროცენტით გადიდდა (52 პროცენტიდან 81 პროცენტამდე), ხოლო ხელშეკრულების მოწინააღმდეგეთა რიცხვი ერთი ორად და უფრო მეტად შემცირდა (19 პროცენტიდან 8 პროცენტამდე). ორნახევარჯერ შემცირდა იმ პირთა რიცხვი, რომლებსაც სურთ შენიშვნები დაურთონ ხელშეკრულებას.

გაზეთი „ვაშინგტონ პოსტ ენდ ტაიმს ჰერალდი“ წერს, რომ გარდატეხა მოხდა ამერიკის საზოგადოებრივ აზრში და ახლა მტკიცედ უჭერენ მხარს მოსკოვის ხელშეკრულებას. მეტ წილ გამოკითხულ ამერიკელებს ეს ხელშეკრულება მიიჩნიათ პირველ ნაბიჯად მშვიდობის გზაზე. 42 წლის მექანიკოსმა ქალაქ ლეველოდან (მასაჩუსეტსის შტატი) და 27 წლის მეფოლადემ ქალაქ გეირიდან (ინდიანას შტატი) განაცხადეს გამოკითხვის დროს, რომ ისინი უყოყმანოდ უჭერენ მხარს ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების რატიფიკაციას, რადგან ეს ბოლოს მოუღებს ატმოსფეროს საშიშ მოწამვლას რადიაქტიური ნალექით.

ამერიკელები დაეინებთ მოითხოვენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა ხმის დიდი უმრავლესობით და უშენიშვნოდ ხელი მოაწეროს მოსკოვის ხელშეკრულებას. „შუბლმაგარ რეაქციონერთა მცირე ჯგუფი, — აცხადებს პროფკავშირული გაზეთი „ნიუსი“, — რომლებიც ცდილობენ აჰკიდონ ხელშეკრულებას ზედმეტი, მისი შემასუსტებელი შენიშვნები, უნდა დავამარცხოთ, რათა მსოფლიომ იცოდეს, რომ ამერიკა უყოყმანოდ უჭერს მხარს მშვიდობასა და თავისუფლებას“.

შენიშვნები, რომლებსაც გვთავაზობენ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების მოწინააღმდეგეები, გაანაზღაურა ამერიკის შრომის ფედერაციისა და საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის წარმომადგენელმა ა. ბიმილერმა, რადიოთი გამოსვლის დროს, უაზრო და ზედმეტია. ხელშეკრულება „პატარა პირველი ნაბიჯია წინ... განიარღების გზაზე“, — დასძვინა მან.

სენატში ხელშეკრულების განხილვის დასაწყისში ამერიკის პრესა და ზოგიერთი სენატორი წინასწარმეტყველებდნენ, რომ ხელშეკრულების მოწინააღმოიგენი ვერ შეაგროვებენ 20-ზე მეტ ხმას. ამ დღეებში ამერიკის გაზეთები წერდნენ, რომ ხელშეკრულების მოწინააღმდეგეთა რიცხვი, რომელთაც განზრახული აქვთ ხმა მისცენ რატიფიკაციის წინააღმდეგ, შემცირდა 13 კაცამდე. მათ შორის 8 დემოკრატი და 5 რესპუბლიკელია. თითქმის ყველა სამხრეთ შტატებიდან არის და განთქმულია უკიდურესად რეაქციული შეხედულებებით და იმით, რომ მჭიდრო კავშირი აქვთ რასისტებთან და სამხედრო-სამრეწველო კონცერნებთან.

ხელმოწერა გრძელდება

ვაშინგტონი, 17 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ ვაშინგტონში მოსკოვის ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ ხელი მოაწერა დომინგოს რესპუბლიკის წარმომადგენელმა.

მრავის ხელისუფალთა დაჟდუკველი პოლიტიკა

ლონდონი, 17 სექტემბერი. (საკდესი). პოლიტიკა, რომელსაც ერაყის ხელისუფალნი ახორციელებენ ქურთების მიმართ, მათსავე წინააღმდეგ წარიმართა, წერს ბიულეტენი „ირაკ ნიუსი“, რომელსაც ლონდონში სცემს ერაყელი ხალხის დაცვის მოძრაობა.

ბიულეტენი აღნიშნავს, რომ ჩაფუშა ბაასისტთა დიქტატურის ცდები ერაყის ხალხის მასები ჩაეთრიათ ომში ქურთი ხალხის წინააღმდეგ და ხაზს უსვამს, რომ ადამიანები არა მარტო ამბობენ უარს იომონ მოჩვენებითი „ტრრების“ წინააღმდეგ, რომლებიც სინამდვილეში მათი ძმები და თანამემამულენი არიან, არამედ დახმარებას და დიდ მხარდაჭერასაც კი უწევენ აჯანყებას.

ერაყის ხელისუფალთა უაზრო სასასტიკე იწვევს მხოლოდ ქურთი ხალხის, აგრეთვე ქურთებისა და არაბების ერთობის გაძლიერებას მთელ ერაყში. ეროვნულ ძალებს, აღნიშნავს ბიულეტენი, ესმით, რომ თავიანთი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად საჭიროა სრული ერთობა.

შეხვედრა თვრამეტი წლის შემდეგ

1945 წლის აპრილის თბილ საღამოს გერმანიის პატარა ქალაქ გიუსტროვში სამედიცინო პუნქტის შენობასთან ავტომანქანა გაჩერდა. მას გამოეგება ექიმი კაპიტანი მიხეილ მიხეილის-ძე დონოვი.

— ვინ მოიყვანეთ, ბიჭებო? — ჰკითხა მზვერავებს.

— ერნსტ ტელმანის ქალიშვილი...

გერმანიის მუშების ბელადის ერთადერთი ქალიშვილი, ირმა, საბჭოთა მეომრებმა ნოიბრანდენბურგის საკონცენტრაციო ბანაკში იპოვნეს. სამედიცინო პუნქტში იგი მძიმე ავადმყოფი მიიყვანეს. შიმშილისაგან მთლად დაუძლურებული იყო, ფეხზე დგომა ადარ შეეძლო.

დაიწყო შეუპოვარი ბრძოლა ქალიშვილის სიცოცხლისათვის. ავადმყოფს თანდათან უბრუნდებოდა ძალა. და აი ერთი თვის შემდეგ სასწაული მოხდა. ირმას უკვე შეეძლო სხვის დაუხმარებლად სიარული. სიკვდილმა უკან დაიხია. ყველა ულოცავდა მიხეილ დონოვს, ირმამ იმ დღეს მას თავისი მხსნელი უწოდა. შემდეგ ერომანეთს დაშორდნენ. მაგრამ მთელი ამ ხნის მანძილზე ბერლინიდან ვორონეჟში და ვორონეჟიდან ბერლინში წერილები მიდი-მოდიოდა.

მას შემდეგ თვრამეტი წელი გავიდა, და აი უკანასკნელი ცნობა ბერლინიდან: მოვდიოვარ საბჭოთა კავშირში. გესტუმრებით. ირმა“.

...ნელა მოადგა პერონს მატარებელი მოსკოვი-ვორონეჟი. ძვირფას სტუმარს ელიან. და აი იგი გამოჩნდა ვაგონის კარში. მაშინვე იცნო მიხეილ მიხეილის-ძე. მაგრამ მარტო იგი, ექიმი მიხეილ დონოვი, როდი ხვდებოდა ირმას. მას ერთბაშად ხვდებოდა სამი ექიმი დონოვი. მიხეილ მიხეილის-ძესთან ერთად მოვიდნენ მისი ცოლი — ქიერუგი ალექსანდრა თეოდორეს ასული და უფროსი ვაჟი ნიკოლოზი, სტომატოლოგი. ირმამ გააცნო მათ თავისი ქმარი, ინჟინერი, პროფკავშირთა თვალსაჩინო მოღვაწე იოანეს გაბელი.

ვორონეჟში ვაგონს რეინტგენ ... ხანაა. ... ... იგი და ოცდაათ წელიწადზე მეტია ატარებს ერნსტ ტელმანის სახელს. გულთბილი იყო ირმას შეხვედრა ამ ქართნის მუშებთან.

შემდეგ კი — დონოვებისას, სახლში ოქტომბრის პროსპექტზე, რომელიც ირმასათვის ესოდენ ნაცნობია წერილებით.

როგორ მოხერხდა ირმას გადარჩენა? ამაზე მიხეილ მიხეილის-ძე სიტყვაძუნწად გვიამბობს:

— ჩემს წინ იყო ადამიანი, რომელსაც დიდხანს აწამებდნენ, საკმელს არ აძლევდნენ, გაყინულ კარცერში ჰყავდათ. უწინარეს ყოვლისა საჭირო იყო, რომ ავადმყოფი მისჩქეოდა ჭამას, ძილს, წამლებს. ეს ძალიან უჭირდა. შემდეგ ირმას სუსხისი დაეწყო, მაგრამ ესეც დაძლია. თვითონ ირმა იყო ჩემი თანაშემწე. გაიმარჯვა მან და არა მე, — ამბობს მ. დონოვი.

— არა, არა! — სიტყვას აწყვეტინებს ირმა. — თქვენ განსაკუთრებული ექიმი ხართ. სიცოცხლე თქვენ მაჩუქეთ.

წავიდა ძვირფასი სტუმარი. მაგრამ ბევრი რამ აგონებთ მას დონოვების ოჯახში. ყველაზე ძვირფასია — ირმას მიერ ნაჩუქარი ბერლინში გამოცემული პატარა წიგნი. გარეკანზეა — „ირმა ტელმანი. მოგონებანი ჩემს მამაზე“ და წარწერა: — „ჩემს ძვირფას მეგობარსა და ამხანაგს მიხეილ მიხეილის-ძე დონოვს ფაშიზმისაგან განთავისუფლების პირველი დღეების მოსაგონრად. გულითადი მადლობით თქვენი ამხანაგი ირმა ტელმანი“.

ა. ჩერნიშოვი,

„იზვესტიის“, საკ. კორ.

ვორონეჟი, 16 სექტემბერი.

ნიუ-იორკი, 16 სექტემბერი. (საკდესი). ჭლანქი მანევრი

ამერიკელ ხელოვნებათმცოდნეთა ერთ-ერთ ... ...

• ჩვენი ინტერვიუ •

მალე შეხვედრამდე

ᲓᲔᲓᲝᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ სხვა თეატრებთან შედარებით წელს რამდენადმე მოგვიანებით, კერძოდ, 28 სექტემბერს გახსნის თავის ახალ, 1963-64 წლების სეზონს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და बალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი. როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, გასულ ზაფხულში — ივნისსა და ივლისში თეატრს გასტროლები ჰქონდა ერევანსა და ბაკოში. ქართული საოპერო და საბალეტო ხელოვნების ოსტატთა სპექტაკლები მოძმე სომხეთისა და აზერბაიჯანის მაყურებელთა დიდი მოწონებით სარგებლობდა.

ახალ სეზონს თეატრის კოლექტივი ხვდება ახალი შემოქმედებითი გეგმებით, რომელთა შესახებ გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტს მოუთხრო თეატრის დირექტორმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, კომპოზიტორმა **ᲐᲠᲩᲘᲚ ᲩᲘᲛᲐᲙᲐᲫᲔ**:

— ვფიქრობ, მომავალი სეზონი, როგორც ადრე, ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკავება ოპერებს. ეს ეხება, ჯერ-ჯერობით, ორ ოპერას, ორ ეროვნულ ოპერას. ეს ეხება ... ეროვნულ ... ეროვნულ ... ...